## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1/10-48
### სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 24 ნოემბერი, 2016წ.

ერთის მხრივ, შპს "სამთომაშველი" (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ ვადაჭკორიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ დავით კუპრაშვილი (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია შპს "სამთომაშველის" სახსრებით:

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შლანგი CPV44165100 | მეტრი | 200 | 1.20 | 240.00 |
| 2 | ლინონიუმი CPV44112230 | ცალი | 20 | 20.00 | 400.00 |
| 3 | პოლდიუმა შტუცერი რკინის CPV44500000 | ცალი | 1 | 1.00 | 1.00 |
| 4 | ნათურა CPV31500000 | ცალი | 20 | 0.60 | 12.00 |
| 5 | ცელოფანი გადასაჭრელი CPV39200000 | მეტრი | 2 | 1.50 | 3.00 |
| 6 | კაფელის სავარცხელი CPV44500000 | შეკვრა | 1 | 6.00 | 6.00 |
| 7 | წებო ცემენტი CPV4410000 | მეშოკი | 2 | 12.00 | 24.00 |
| 8 | ხამუტი CPV44500000 | ცალი | 3 | 2.00 | 6.00 |
| 9 | დიდი პაკლი CPV44100000 | ცალი | 1 | 3.00 | 3.00 |
| 10 | პვა წებო CPV44100000 | ცალი | 1 | 3.00 | 3.00 |
| 11 | ტრაინიკი CPV31200000 | ცალი | 1 | 5.00 | 5.00 |
| 12 | მუფტი შ/რ 1/12 CPV42100000 | ცალი | 10 | 1.50 | 15.00 |
| 13 | უგოლნიკი გ/რ 1/2 CPV44500000 | ცალი | 8 | 1.50 | 12.00 |
| 14 | მილის სამაგრი CPV44100000 | ცალი | 6 | 0.50 | 3.00 |
| 15 | 1.2 მილი CPV44100000 | ცალი | 20 | 7.00 | 140.00 |
| 16 | მუფტი უბრალო 1/2 CPV42100000 | ცალი | 20 | 0.30 | 6.00 |
| 17 | 1/2 უგოლნიკი CPV44500000 | ცალი | 15 | 0.30 | 4.50 |
| 18 | ვინტილი 1/2 CPV44512800 | ცალი | 3 | 3.00 | 9.00 |
| 19 | ტრაინიკი 1/2 CPV31200000 | ცალი | 5 | 0.50 | 2.50 |
| 20 | კომპრესიული ვინტილი CPV44512800 | ცალი | 1 | 8.00 | 8.00 |
| 21 | ვინტილი 1/2-ზე CPV44512800 | ცალი | 2 | 8.00 | 16.00 |
| 22 | კომპრესიული ტრაინიკი CPV31200000 | ცალი | 1 | 4.00 | 4.00 |
| 23 | კომპრესიული გადასაბმელი CPV44500000 | ცალი | 1 | 3.00 | 3.00 |
| 24 | გოფრე შლანგი CPV44165100 | მეტრი | 8 | 2.00 | 16.00 |
| 25 | სილიკონი CPV44100000 | ცალი | 1 | 3.00 | 3.00 |
| 26 | ელ.წყლის გამაცხელებელი ავზი CPV39715000 | ცალი | 1 | 250.00 | 250.00 |
| 27 | ელ.სალესი (ტაჩილა) CPV44500000 | ცალი | 1 | 160.00 | 160.00 |

შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1355.00 (ათას სამას ორმოცდათხუთმეტი) ლარს.

### 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ტყიბული, რუსთაველის ქ. №12, ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **შპს "სამთომაშველის" დირექტორის რწმუნებული წარმომადგენელი ტყიბულის სმ ოცეულის მეთაური ელვარდი ცირეკიძე.**

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

### 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.3. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ს ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05%-ს.

8.5. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. სხვა პირობები

11.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხრეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 12. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და მისამართები

| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
| --- | --- |
| შპს "სამთომაშველი" | ი/მ დავით კუპრაშვილი |
| მის: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №54 | მის: ქ. ტყიბული, ძმ. ვარდოსანიძეების ქ. №5 |
| სს "საქართველოს ბანკი" | სს "საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ა/ა GE84BG0000000213502700 | ა/ა GE82BG0000000156089600 |
| ს/კ 206303917 | ს/ნ 41001025633 |
| ტელ: 227-83-79 | |
| (თ. ვაღაჭკორია) | (დ. კუპრაშვილი) |

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ტყიბული

25 ნოემბერი, 2016წ..

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, შპს "სამთომაშველის" დირექტორის რწმუნებული წარმომადგენელი ტყიბულის სმ ოცეულის მეთაური ე. ცირეკიძე (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი/მ დავით კუპრაშვილი (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის 2016 წლის 24 ნოემბრის №1/10-48 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების თანახმად "მიმწოდებელმა" ჩააბარა:

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | შლანგი | მეტრი | 200 | 240.00 |
| 2 | ლინონიუმი | ცალი | 20 | 400.00 |
| 3 | პოლდიუმა შტუცერი რკინის | ცალი | 1 | 1.00 |
| 4 | ნათურა | ცალი | 20 | 12.00 |
| 5 | ცელოფანი გადასაჭრელი | მეტრი | 2 | 3.00 |
| 6 | კაფელის სავარცხელი | შეკვრა | 1 | 6.00 |
| 7 | წებო ცემენტი | მეშოკი | 2 | 24.00 |
| 8 | ზამუტი | ცალი | 3 | 6.00 |
| 9 | დიდი პაკლი | ცალი | 1 | 3.00 |
| 10 | პვა წებო | ცალი | 1 | 3.00 |
| 11 | ტრაინიკი | ცალი | 1 | 5.00 |
| 12 | მუფტი შ/რ 1/12 | ცალი | 10 | 15.00 |
| 13 | უგოლნიკი გ/რ 1/2 | ცალი | 8 | 12.00 |
| 14 | მილის სამაგრი | ცალი | 6 | 3.00 |
| 15 | 1.2 მილი | ცალი | 20 | 140.00 |
| 16 | მუფტი უბრალო 1/2 | ცალი | 20 | 6.00 |
| 17 | 1/2 უგოლნიკი | ცალი | 15 | 4.50 |
| 18 | ვინტილი 1/2 | ცალი | 3 | 9.00 |
| 19 | ტრაინიკი 1/2 | ცალი | 5 | 2.50 |
| 20 | კომპრესიული ვინტილი | ცალი | 1 | 8.00 |
| 21 | ვინტილი 1/2-ზე | ცალი | 2 | 16.00 |
| 22 | კომპრესიული ტრაინიკი | ცალი | 1 | 4.00 |
| 23 | კომპრესიული გადასაბმელი | ცალი | 1 | 3.00 |
| 24 | გოფრე შლანგი | მეტრი | 8 | 16.00 |
| 25 | სილიკონი | ცალი | 1 | 3.00 |
| 26 | ელ.წყლის გამაცხელებელი ავზი | ცალი | 1 | 250.00 |
| 27 | ელ.სალესი (ტაჩილა) | ცალი | 1 | 160.00 |

ხოლო "შემსყიდველმა" ჩაიბარა აღნიშნული საქონელი.
მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გაგვაჩნია.

"შემსყიდველის რწმუნებული წარმომადგენელი"

(ე. ცირეკიძე)

"მიმწოდებელი"

(დ. კუპრაშვილი)